ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს 19.10.2012 სხდომის

ოქმი №5

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 35 წევრთაგან 19

დღის წესრიგი:

1. სადოქტორო პროგრამების დამტკიცება:

   1). "საერთაშორისო ურთიერთობები", ხელ-ლი: ნილ მაკფარლეინი
   2). "პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია", ხელ-ლი: მარინე ჩიტაშვილი
   მომხსენებელი: დალი ოსეფაშვილი

2. სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებაზე სრული პროფესორის 1 საშტატო ერთეულის დამატების შესახებ

   მომხსენებელი: ანდრო ბარნოვი

3. 2013 წლის ბიუჯეტის შესახებ

   მომხსენებელი: ანდრო ბარნოვი

მოისმინეს: 1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა დალი ოსეფაშვილმა საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა 2 სადოქტორო პროგრამა: "საერთაშორისო ურთიერთობების" ინგლისურენოვანი (ხელ-ლი: ნილ მაკფარლეინი) და "პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის" (ხელ-ლი: მარინე ჩიტაშვილი).

აზრი გამოთქვეს: ა. ბარნოვმა, ზ. დავითაშვილმა, ი. სალუქვაძემ, რ. გაჩეჩილაძემ

დაადგინეს: დამტკიცდეს "საერთაშორისო ურთიერთობების" ინგლისურენოვანი (ხელ-ლი: ნილ მაკფარლეინი) და "პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის" (ხელ-ლი: მარინე ჩიტაშვილი) სადოქტორო პროგრამები წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ბარნოვმა ისაუბრა სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებაზე

სოციოლოგიის განხრით სრული პროფესორის 1 საშტატო ერთეულის დამატების შესახებ. მან საბჭოს წევრებს თხოვა ასისტენტ პროფესორის 2 ვაკანტური ადგილის გადაკეთების ნებართვა იმ პირობით, რომ თსუ ადმინისტრაციას 2013 წლის საშტატო განრიგში ამ შტატებს დაამატებინებდა.

აზრი გამოთქვეს: ნ. მაჭარაშვილმა, მ. მაცაბერიძემ, ი. სალუქვაძემ, თ. დოლბაიამ

დაადგინეს: მიეცეს თანხმობა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს მისცეს მსვლელობა სოციოლოგიის განხრით სრული პროფესორის 1 საშტატო ერთეულის დამატების შესახებ, შეთანხმებული პირობის დაცვით.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ბარნოვმა საბჭოს წევრებს შეახსენა, მიმართულებებისთვის დაგზავნილი თსუ-ის საფინანსო დეპარტამენტის უფროსის წერილი, რომელშიც ითხოვენ თსუ-ის 2013 წლის ბიუჯეტისთვის სავარაუდო დანახარჯებს და უთხრა, რომ მისი წარმომადგენელი მომდევნო კვირის განმავლობაში შეხვდება მიმართულებების ხელმძღვანელებს, რათა უფრო კარგად გაერკვნენ ფაკულტეტის ფინანსურ-მატერიალურ საჭიროებებში.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ა. ბარნოვი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ანრეო ...

19 ...., 2012

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

1. იაგო კაჭკაჭიშვილი
2. ლალი სურმანიძე
3. თამარ მახარაძე
4. ნინო დურგლიშვილი +

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

5. ზურაბ დავითაშვილი
6. სერგი კაპანაძე
7. ფიქრია ასანიშვილი
8. გიორგი ხელაშვილი

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. გია ჟორჟოლიანი
12. ნანა მაჭარაშვილი

ფსიქოლოგიის მიმართულება

~~13. ნოდარ ბელქანია~~
14. რევაზ ჯორბენაძე
15. გუგული მაღრაძე
16. თამარ გაგოშიძე
17. ია კუტალაძე
18. ხათუნა მარწყვიშვილი
19. მზია წერეთელი

ჟურნალისტიკის მიმართულება

20. მარიამ გერსამია +
21. დალი ოსეფაშვილი
22. მარი წერეთელი
23. მანანა შამილიშვილი
24. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

25. იოსებ სალუქვაძე
26. რევაზ გაჩეჩილაძე
27. გიორგი გოგსაძე
28. თამარ დოლბაია

სტუდენტური თვითმმართველობა

29. ლევან ჩოხელი
30. გიორგი უძილაური
31. დავით მჭედლიშვილი
32. ბექა ბიჭიკაშვილი
33. მერი გოლოძე
34. სალომე მახარობლიშვილი
35. რიტა ხურციძე

[13:48:11] annadali2: ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნებით, ყველა სადოქტორო პროგრამა, რომელზეც სტუდენტი სწავლობს, აკრედიტებული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში 2012–13 სასწავლო წლიდან საგნმანათლებლო დაწესებულებას არ აქვს უფლება ამ პროგრამების განხორციელების. შესაბამისად, არაკრედიტებული სადოქტორო პროგრამები შეჩერებულია.

თსუ–ს იურიდიული დეპარტამენტი ამზადებს ბრძანების პროექტს, რომლის მიხედვითაც ყველა ფაკულტეტის არააკრედიტებული სადოქტორო პროგრამები გაუქმდება (ე.წ. „მილევადები") და იმავე ბრძანების მიხედვით, მოხდება სტუდენტთა გადმოყვანა აკრედიტებულ პროგრამებზე. იმ პირობის გათვალისწინებით, რომ მოხდება მათ მიერ გავლილი კრედიტების აღიარება.

ეს ორივე სადოქტორო პროგრამა „პიროვნების და კლინიკური ფსიქოლოგია" და „საერთაშორისო ურთიერთობები" დამტკიცდა 2010 წელს, როდესაც პირველად ჰქონდათ მიღება. თუმცა, 2011 წელს, როდესაც დამტკიცდა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით, ახალი ინსტრუქციების შესაბამისად, ამ 2 პროგრამის ხელმძღვანელმა არ წარმოადგინა სადოქტოროები იმ მოტივით, რომ მიღებას აღარ აცხადებდნენ და პროგრამები მილევადი იყო.

მაგრამ ახლა დღის წესრიგში დადგა საკითხი ამ პროგრამების დამტკიცების და სააკრედიტაციოდ გაგზავნის, რადგან ამ მილევადი პროგრამების დოქტორანტებს შეექმნებოდათ პრობლემა – ისინი ან სრულიად სხვა პროგრამებზე უნდა გადასულიყვნენ, რასაც ვერ შევთავაზებდით სტუდენტებს ან არსებულ ძველ პროგრამებს უნდა გაევლოთ აკრედიტაცია. საამისოდ კი, საჭირო გახდა ახალი ინსტრუქციის მიხედვით, აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად ამ პროგრამების თავიდან დამტკიცება.